ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-4 ჯერ. სპორტულ ცენტრში დასაქმებულია ჯამში 65 ადამიანი, მათ შორის, 25 ტექნიკური და 47 ადმინისტრაციული პერსონალი და მწვრთნელი. ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ. ქვეპროგრამის მიზანია: - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.
მოსალოდნელი შედეგი	სპორტის საყოველთაოობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირება; სპორტული ტრადიციების დაცვა, გარღმავება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობითობის უწყვეტობა, სპორტის განვითარება; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მატერიალური და ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სპორტის ინდუსტრიის განვითარება;

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სტადიონის ფუნქციონირება	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 03		196
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მინიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ლანჩხუთის საფეხბურთო სტადიონის ფუნქციონირების ხარჯების დაფინანსება. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა მუნიციპალიურ შპს „ლანჩხუთს“, რომელიც შემდგომ ახორციელებს სტადიონის მოვლა-პატრონობის ღონისძიებებს. სუბსიდიის ხარჯები ხმარდება შპს-ს თანამშრომელთა ხელფასების, სტადიონის კომუნალური ხარჯების ანაზღაურებას, ბიუჯეტთან ანგარიშწორებას(ქონების გადასახადი) და სტადიონის ფუნქციონირებისათვის სხვა აუცილებელ ხარჯების დაფინანსებას. ქვეპროგრამის მიზანია წლის ნებისმიერ პერიოდში ლანჩხუთის საფეხბურთო სტადიონის მზადყოფნის უზრუნველყოფა დაგეგმილი მატჩებისათვის.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალური საფეხბურთო სტადიონი შეუფერხებლად მასპინძლობს ყველა სპორტულ ღონისძიებას.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ქალთა სპორტის განვითარება	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 04		167,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ლანჩხუთის ქალთა საფეხბურთო კლუბის „ლანჩხუთის ლანჩხუთი“-ს დაფინანსება. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა მუნიციპალიურ შპს „ლანჩხუთის ლანჩხუთს“, საიდანაც ხორციელდება კლუბის ხარჯების დაფინანსება. სუბსიდიის ხარჯები ხმარდება ფეხბურთელებისა და მწვრთნელების ხელფასებს, შეკრებებს და სამწვრთნელო პროცესს, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისთვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებას და შპს-ს ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასს. პროგრამის მიზანია ქალთა საფერხბურთო გუნდის წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ და შემდგომ საერთაშორისო ასპარეზზე.		
მოსალოდნელი შედეგი	ეროვნულ ჩემპიონატში საპრიზო ადგილის დაკავება.		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საფეხბურთო სკოლის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 05		333.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სპორტულ სკოლაში ფუნქციონირებს ფეხბურთის 7ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებულია და ვარჯიშობს 200 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-4 ჯერ. სკოლაში დასაქმებულია ჯამში 42 ადამიანი , 22 ადმინისტრაციული პერსონალი და 20 მწვრთნელი . სკოლის აღსაზრდელები მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში საქართველოს მასშტაბით-ქვეპროგრამის მიზანია: -ფეხბურთის პოპულარიზაცია -ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; -მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეს ქუჩისთვის მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით		
მოსალოდნელი შედეგი	სპორტული სკოლა მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია სკოლის მომსახურებით; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომია ფეხბურთის ჯგუფებით სარგებლობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარებში
	05 01 02		60,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის , ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება:		
	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება ფასიანი საჩუქრებით;		
	ოლიმპიადის, მსოფლიოს, ევროპის და საქართველოს ოფიციალური ჩემპიონატების საპრიზო (I,II,III) ადგილებზე გასული, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე სპორტსმენებისა და მწრთვნელების წახალისება ფულადი ჯილდოთი;		
	ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენების (წარსულში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე წარმატებული ვეტერანი სპორტსმენი) დაჯილდოება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით;		
	სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარება;		
	სასკოლო სპორტული ოლიმპიადისა და სპორტი ბარიერების გარეშე-ღონისძიებების ორგანიზება.		
მუნიციპალური სპორტული ტურნირების ორგანიზება			
პროგრამის მიზანია:			
ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; ყველა ასაკობრივი ჯგუფების ჩართვა			



	მასობრივ სპორტის სახეობებში; წარმატებული, ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოება.
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი სპორტული ღონისძიებების ორგანიზება. მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების სპორტულ ღონისძიებებში ჩართვა. მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, წარმატებული და ღვაწლმოსილი სპორტსმენების და მწვრთნელების დაფასება და მათი მოტივაციის გაზრდა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 01		1053.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 4 კულტურის სახლი, 5 მუნიციპალური მუზეუმი, 18 ბიბლიოთეკა და ე. ნინოშვილის სახელობის სახალხო თეატრი.		
	კულტურის სახლებში გაერთიანებულია სხვადასხვა მიმართულებები, ქორეოგრაფიული წრეები, ფოლკლორული ანსამბლები, ბავშვთა საესტრადო წრეები. ამ წრეების სწავლების პროგრამებში მონაწილეობს 200 აღსაზრდელი, ფოლკლორული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებში ჩართულია 100-მდე მონაწილე.		
	მუნიციპალურ მუზეუმებში დღეის მდგომარეობით განთავსებულია 19000 ექსპონატი. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 1000-ს.		
	მუნიციპალიტეტის 18 ბიბლიოთეკაში წიგნის ფონდი შეადგენს 112000 ერთეულს. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის დაახლოებით 2000 მოსახლე.		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ე. ნინოშვილის სახელობის სახალხო თეატრი და მასთან არსებული თოჯინების თეატრი. 2022 წელს თეატრში გაიმართა 2 დრამატული სპექტაკლის პრემიერა, აღდგა და განახლდა წინა წლებში დადგმული 3 სპექტაკლი. თოჯინების თეატრში დაიდგა 1 ახალი წარმოდგენა, თოჯინების თეატრი ასევე ახორციელებს გასვლით წარმოდგენებს.		
	მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა		
მოსალოდნელი შედეგი	კულტურის ცენტრის ფუნქციონირების ხელშეწყობა. სანახაობრივი მაღალი ხარისხის კულტურული ღონისძიებების ჩატარება; მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 02		464,7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანება		
	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი დაწყებითი სამუსიკო განათლების 2 და დაწყებითი სამხატვრო განათლების 1		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სკოლა.
	სამუსიკო სკოლებში გაერთიანებულია საფორტეპიანო, თეორიული, ვიოლინოს, ხალხური საკრავების, კლასიკური გიტარის და სხვა მიმართულებები. სამუსიკო სკოლებში დაწყებით სამუსიკო განათლებას იღებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 280 ბავშვი. სკოლებში დასაქმებულია რაოდენობა შეადგენს (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) 51 თანამშრომელს.
	სამხატვრო სკოლაში ბავშვები ეუფლებიან ფერწერას, ხატვას, კომპოზიციას, ქანდაკებას, გობელენს, ვიტრაჟს და ხატწერას. სამხატვრო სკოლაში დაწყებით სამხატვრო განათლებას იღებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 170 ბავშვი. სკოლაში სულ დასაქმებულია 20 თანამშრომელი, მათ შორის, 14 პედაგოგი.
	პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების მიმდინარე ხარჯები (ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი) .
	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; სიმღერის, ფოლკლორის, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე შემსწავლელი წრეები ჩამოყალიბება; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე; ფასიანი, საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობა; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ.
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლები და სამხატვრო სკოლა წლის განმავლობაში ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. სრულად არის დაკმაყოფილებული სამხატვრო და სამუსიკო დაწყებით განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. სკოლების აღსაზრდელები მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		30,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის , ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების, ფესტივალების, ფორუმების, საქველმოქმედო აქციების, ლიტერატურულ-შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას;		
	კულტურული პროექტების თანადაფინანსებას;		
	კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების და ახალგაზრდების წახალისებას;		
	კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და შენარჩუნებას;		
მოსალოდნელი შედეგი	კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას.		
	პროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა;		
	კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება;		
	პროგრამის განხორციელების შედეგად მოხდება კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა, შედეგად გაიზრდება შემოქმედებითი სფეროში		



	მოღვაწე ადამიანების მოტივაცია.		
ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარებში
	05 02 04		40
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის , სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა- 40000 ლარი		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილი რელიგიის მხარდაჭერა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარებში
	05 03		20,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის , ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი პროექტები: შშმ პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება საქართველოში. ახალგაზრდული პროექტები მომართვიანობის მიხედვით. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტების ფინანსური მხარდაჭერა, თავისუფალი დროის ეფექტურად და შინაარსიანად ხარჯვის ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის გამოვლენა, ინოვაციური იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობა.		
	შშმ პირების საზოგადოებაში ჩართვის-ინტეგრირების ხელშეწყობა; მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი პროექტების დაფინანსება, მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის,სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება განხორციელება და ხელშეწყობა.		

მუხლი 17.
 ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1061,5 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში					
პროგრამული	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის	2024 წლის	2025 წლის	2026 წლის



კოდი		გეგმა	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,061.5	1,101.5	1,118.5	1,131.5
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	194.5	195.0	200.0	200.0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	194.5	195	200	200
06 02	სოციალური დაცვა	867.0	906.5	918.5	931.5
06 02 01	ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების ხარჯი	32.0	33	34	35
06 02 02	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა	40.0	45	46	48
06 02 03	სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა	150.0	150	150	150
06 02 04	ცენტრ „იავნანას“ თანადაფინანსების პროგრამა	15.0	15	15	15
06 02 05	მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების პროგრამა	20.0	20	20	20
06 02 06	მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფა	135.0	135	140	145
06 02 07	იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა	15.3	16	17	18
06 02 08	ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა	57.0	58	58	58
06 02 09	მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა	80.0	85	85	85
06 02 10	„გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა	20.1	22	22	22
06 02 11	100 და მეტი წლის ხანდაზმულ პირთა დახმარების პროგრამა	4.5	5	5	5
06 02 12	მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა	50.0	50	50	50
06 02 13	უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა	2.5	2.5	2.5	2.5
06 02 14	ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამა	30.0	40	40	40
06 02 16	შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა	20.0	20	20	20
06 02 17	ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის	55.0	60	60	60



	ქვეპროგრამით მოსაგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა				
06 02 18	გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა	3.0	3	3	3
06 02 19	სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დახმარების პროგრამა	7.0	7	8	9
06 02 20	მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა	3.0	3	4	5
06 02 21	0-დან 18 წლამდე დედამამით ობოლ ბავშვების და შშმ ბავშვების , რომელიც არის ობოლი ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა	2.0	3	4	5
06 02 22	ცელთაპირით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამა	3.6	4	5	6
06 02 23	აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა	82.0	90	90	90
06 02 24	კოვიდ 19 ით ინფიცირებულთა და მასთან კონტაქტში მყოფ პირთა ტრანსპორტირებით - დახმარების პროგრამა				
06 02 25	რისკის ქვეშ მყოფი 0- დან 18 წლამდე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამა	40.0	40	40	40

პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 01		194,5
პროგრამის განმახორციელებელი	ა.ა.ი.პ ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი		
	მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური		



პროგრამის აღწერა	აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება. პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან: 1 ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) (მალარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი) 2 იმუნიზაცია. 3 ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა 4 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა 5 C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის განხორციელება (სკრინინგი) 6 კორონა ვირუსით გამოწვეული ინფექციის დიაგნოსტიკის უზრუნველყოფა 7 C ჰეპატიტის მიდევნების პროგრამა (დადებითი ბენეფიციარების კონფირმაციულ კვლევებსა და მკურნალობაში ჩაბმის მომსახურება. 8. მალარიის და სხვა ტრანსმისიური დაავადებების გადამტანების გავრცელების კერებში მათ წინააღმდეგ პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების უზრუნველყოფა
პროგრამის მიზანი	მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება

პროგრამის დასახელება	კოდი	ბიკარბონატული ჰემოდიალიზი-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01		32,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული თირკმლის უკმარისობით დაავადებულთათვის სატრანსპორტო ხარჯის გამოყოფა პროგრამული დიალიზის ჩასატარებლად კვირაში სამჯერ (170 ლარი თითო ბენეფიციარზე ყოველთვიურად) ხოლო პერიტონიულ დიალიზზე მყოფ ბენეფიციარს დაუფინანსდება სატრანსპორტო ხარჯი დიალიზისა და ნეფროლოგიის ცენტრში თვეში 4 ვიზიტი (56 ლარის ოდენობით თითო ბენეფიციარზე) . 2022 წელს პროგრამით ისარგებლა 20 ბენეფიციარმა საიდანაც 15 კაცი და 5 ქალი		
მოსალოდნელი შედეგი	დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა. ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა 16 ბენეფიციარის ფინანსური მხარდაჭერა		

პროგრამის დასახელება	კოდი	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 02		40
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური		



პროგრამის აღწერა და მიზანი	დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახები რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი, ყოველთვიურად თითოეულ ბავშვზე მიიღებენ 40(ორმოცი) ლარს. პროგრამით სარგებლობენ ის ოჯახები, რომლებიც არ არიან სოციალური შემწეობის მიმღები. პროგრამით სავარაუდოდ ისარგებლებს 24 მრავალშვილიანი ოჯახი. 2022 წელს პროგრამით ისარგებლა 23 ოჯახმა საიდანაც გოგო 63 ბიჭი 39.
მოსალოდნელი შედეგი	მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური ხელშეწყობა. პროგრამით შესაძლებელი იქნება 24 მრავალშვილიანი ოჯახის ფინანსური დახმარება. მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა

პროგრამის დასახელება	კოდი	სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 03		150
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ბენეფიციარებს, რომელთაც ესაჭიროება ოპერაციული ჩარევა ასევე ქიმიოთერაპიის კურსის დაფინანსება, სხივური თერაპიის თანადაფინანსება , კორონალური სტენტირება და სხვა. სადაზღვევოს მიერ არ უნაზღაურდება, ან მკურნალობის თანხა უნაზღაურდება ნაწილობრივ, სამედიცინო დაწესებულების ანგარიშზე ჩაერიცხება წარმოდგენილი ღირებულების 50%, მაგრამ არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა. პროგრამით ისარგებლებენ 0-დან 150 000-ი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები. მუნიციპალიტეტის მიერ ასევე განხორციელდება კვლევების დაფინანსება მაგნიტო- რეზონანსული ტომოგრაფიების, კომპიუტერული ტომოგრაფიების და ანგიოგრაფიული კვლევის თანადაფინანსება-50%. პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის (PET/KT) კვლევის თანადაფინანსება ღირებულების 50 %-ით. კვლევებით ისარგებლებენ 0-დან 130 000-ი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები.შენიშვნა: ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორიცაა სასწრაფო (გადაუდებელი) სამედიცინო ოპერაციების, სასწრაფო (გადაუდებელი) ქიმიოთერაპიის და სხივური თერაპიის თანადაფინანსება, სასწრაფო - გადაუდებელი მაგნიტო- რეზონანსული ტომოგრაფიების, კომპიუტერული ტომოგრაფიების ანგიოგრაფიული კვლევის და პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის (PET/KT) კვლევის უნაღდო ანგარიშსწორებით (ინვოისით წარმოდგენილი ასანაზღაურებელი თანხა არაუმეტეს 400 ლარისა) - რომელიც არ ჯდება მერიის თანადაფინანსების პროგრამაში, მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განხორციელდეს სარეიტინგო ქულის წარმოდგენის გარეშე. ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და საკრებულოს წევრის შუამდგომლობის საფუძველზე.“ (2022 წელს პროგრამით ისარგებლა 664 ბენეფიციარმა, საიდანაც 342 ქალი 301 კაცი; 21 ბავშვი 12 გოგო და 9 ბიჭი		
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ფინანსური ხელშეწყობა. ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. პროგრამით სავარაუდოდ ისარგებლებს 470 ბენეფიციარი.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სარეაბილიტაციო ცენტრ "იავნანას" თანადაფინანსების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 04		15,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური		
	ქვეყანაში შემუშავდა და მუშაობს სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფი ბავშვებისათვის "სოციალური რეაბილიტაციისა ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ამ მიზნით დაფუძნებულია არასამთავრობო ორგანიზაცია,		



პროგრამის აღწერა და მიზანი	სარეაბილიტაციო ცენტრი "იავნანა". პროგრამას ერთი მხრივ აფინანსებს ცენტრალური ბიუჯეტი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ვაუჩერული პრინციპით. ცენტრს დამატებით ესაჭიროება კომუნალური და მიმდინარე ხარჯების დაფინანსება. პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული იქნება ელექტრო-ენერგიის, ბუნებრივი აირის და წყლის გადასახადები, დაფინანსდება ცენტრისათვის ყოველთვიურად ჰიგიენისა და ყოველთვიური მოხმარების საგნების ღირებულება. ცენტრში ირიცხება 24 მზრუნველობამოკლებული ბავშვი. 2022 წელს პროგრამით ისარგებლა 12 გოგომ 12 ბიჭმა.		
მოსალოდნელი შედეგი	სოციალურად დაუცველი 24 ბავშვის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 05		20
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები მოსწავლეების ტრანსპორტირება სკოლამდე და სკოლიდან, აღნიშნული პროგრამით სარგებლობს ერთი სკოლა (სასულიერო გიმნაზია. სულ 99 მოსწავლე). 2022 წელს პროგრამით ისარგებლა 99 ბენეფიციარმა გოგო 46 ბიჭი 53.		
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლეების ტრანსპორტით ხელშეწყობა. პროგრამა ხელს უწყობს ბავშვების ჯანმრთელობასა და განათლების სრულფასოვნად მიღებას. პროგრამით შესაძლებელი იქნება 99 მოსწავლის ტრანსპორტირებაში ხელშეწყობა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 06		135
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებული უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღეში ერთჯერადად კვება უფასო სასადილოში და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში ბენეფიციართათვის კვირაში სამჯერ საკვების მიწოდება ოჯახში. სარეიტინგო ქულა 0-დან 65000-ის ჩათვლით. 2022 წელს პროგრამით ისარგებლა 105 ბენეფიციარმა საიდანაც ქალი 56 კაცი 46 ბავშვი გოგო 1 ბიჭი 2		
მოსალოდნელი შედეგი	უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკვების ხელმისაწვდომობაზე მდგომარეობის გაუმჯობესება. პროგრამა ხელს შეუწყობს 95 ბენეფიციარის საკვებზე ხელმისაწვდომობას.		

პროგრამის დასახელება	კოდი	იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 07		15,3



პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური
პროგრამის აღწერა და მიზანი	დევენილთა ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, ერთჯერადად მიეცემათ საშუალება მერქნის შესაძენი თანხა 250 (ორასი) ლარის ოდენობით. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სულ რეგისტრირებულია ასეთი 61 ოჯახი (192 დევნილი) 2022 წელს პროგრამით ისარგებლა 40 ოჯახმა საიდანაც კაცი 18 ქალი 22.
მოსალოდნელი შედეგი	დევენილი ოჯახების ფინანსური დახმარება მერქნული რესურსის შესაძენად. პროგრამა გათვლილია 61 ოჯახზე.

პროგრამის დასახელება	კოდი	ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 08		57
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამით გათვალისწინებულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარება. გარდაცვლილი ომის მონაწილის ოჯახისათვის დახმარების აღმოჩენა, კერძოდ სარიტუალო მომსახურებისას ფინანსური დახმარება 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით. ასევე მე-2 მსოფლიო ომის მონაწილეთათვის ერთჯერადად დახმარების გაწევა 9 მაისთან დაკავშირებით (1000 ლარის ოდენობით) დღეის მდგომარეობით არის 1 ბენეფიციარი). საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული მეომრების ოჯახებისათვის 27 სექტემბერს (სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით 11 ბენეფიციარი) 8 აგვისტოს (აგვისტოს ომთან დაკავშირებით, 3 ვეტერანი) ოსეთის კონფლიქტების დროს დაღუპული (ერთი ვეტერანი) 500 ლარით დახმარება (15 ვეტერანის ოჯახი სულ 7 500 ლარი). საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის შემდგომ გარდაცვლილი ვეტერანების ოჯახების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილე ვეტერანთა, სხვა სახელწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანების შეჭირვებული ოჯახების (70 ბენეფიციარი), რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 130 000-ს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული მეომრების ოჯახების ყოველთვიურად 50 ლარით დახმარება. პირველი და მეორე ჯგუფის შშმ ვეტერანებისათვის ყოველთვიურად 100 ლარით დახმარება (2 ვეტერანი საჭიროებს 2400 ლარს); მე-2 მსოფლიო ომის მონაწილისთვის ყოველთვიურად 50 ლარით დახმარება (1 ვეტერანი). დედის დღესთან 3 მარტთან დაკავშირებით დაღუპული მეომრების დედების დასაჩუქრება 300 ლარით (15 ვეტერანის დედა 4500 ლარი) ომში დაღუპული მეომრების საპატივცემლოდ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში გამართულ ღონისძიებებთან დაკავშირებით საჩუქრის გადაცემა და წლის განმავლობაში დაგეგმილ ღონისძიებებზე ვეტერანთა საფლავების ყვავილებით შესამკობად თაიგულების და გვირგვინების შეძენა (1 000 ლარი). აგვისტოს ომში გორის მუნიციპალიტეტის სოფ. შინდისში გმირულად დაღუპული მეომრების ოჯახის წევრების ტრანსპორტირების ხარჯი 700 ლარი. 2022 წლის პროგრამით ისარგებლა 90 ბენეფიციარმა საიდანაც კაცი64 ქალი26		
მოსალოდნელი შედეგი	ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების ფინანსური ხელშეწყობა. პროგრამა გათვლილია 90 ბენეფიციარზე.		

პროგრამის დასახელება	კოდი	მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 09		80,0



პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური
პროგრამის აღწერა და მიზანი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ხანძარისა და მეწყერისაგან დაზარალებული, უსახლკარო, ასევე საცხოვრებლად უვარგისი სახლების მქონე ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა. ბენეფიციარებზე ბინის ქირის გადახდა თვეში არაუმეტეს 150 (ასორმოცდაათი) ლარისა. ამავე პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ძალადობის მსხვერპლ ქალთა დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა. 2022 წელს პროგრამით ისარგებლა 58 ოჯახმა საიდანაც კაცი 39, ქალი 59 ბიჭი 27, გოგო 38.
მოსალოდნელი შედეგი	ხანძარისა და მეწყერისაგან დაზარალებული, უსახლკარო, ასევე საცხოვრებლად უვარგისი სახლების მქონე ოჯახების და ძალადობის მსხვერპლ ქალთა დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა. მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. პროგრამით შესაძლებელი იქნება 44 ოჯახის დახმარება.

პროგრამის დასახელება	კოდი	„გამარჯვებულ ქალთა კლუბი“- ს სარეაბილიტაციო თანადაფინანსების პროგრამა,	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 10		20,1
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნაადრევ ეტაპზე კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების მხარდაჭერას მათი შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით. პროგრამა ითვალისწინებს: გამარჯვებულ ქალთა კლუბის წევრების შეხვედრები ფსიქოლოგთან,თემატური საქმიანობა, არტთერაპიის კომპონენტებით ;სამედიცინო კვლევები კლუბის წევრი ქალბატონებისათვის ;მოწვეული სპეციალისტების მომსახურება;პაციენტების ტრანსპორტირება კვლევებზე;საგანმანათლებლო და კულტურული ღონისძიების ორგანიზება; საინფორმაციო მასალისმომზადება და ბეწდვა ონკოპაციენტებისათვის ; რეგიონალური კოორდინატორის მომსახურება ;საოფისე საჭიროება(კომუნიკაცია, ინტერნეტი და დასუფთავება); მოწვეული სპეციალისტების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა; პროგრამის საოპერაციო ხარჯი . 2022 წელს პროგრამით ისარგებლა 8 კლუბის წევრმა ქალბატონმა		
მოსალოდნელი შედეგი	ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების რეაბილიტაცია და მხარდაჭერა, მათი ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. პროგრამით შესაძლებელი იქნება 8 კლუბის წევრის დახმარება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 11		4,5
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 და მეტი წლის ასაკს გადაცილებული ხანდაზმულების ერთჯერადი დახმარება 1500(ათასხუთასი) ლარის ოდენობით. (დაბადების დღეს ან ხანდაზმულთა დღეს 1 ოქტომბერს) . 2022 წელს პროგრამით ისარგებლა 3 ბენეფიციარმა ქალი 3 კაცი 0.		
მოსალოდნელი შედეგი	ხანდაზმულთა სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაში ხელშეწყობა. პროგრამა გათვლილია 3 ბენეფიციარზე		



პროგრამის დასახელება	კოდი	მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 12		50
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში შერჩეულ ბენეფიციარს დახმარება გაეწევა ავარიულ მდგომარეობაში არსებული და სტიქიით		
	დაზიანებული საცხოვრებელი სახლის მოწესრიგებაში- არაუმეტეს 7 000 ლარისა. პროგრამის განხორციელებაზე		
მოსალოდნელი შედეგი	პასუხისმგებელი სამსახური ახორციელებს მონიტორინგს ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელთან ერთად, სივრცით ტერიტორიული მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დასკვნის საფუძველზე დგინდება		
	დაზარალებული მოსახლეობის დახმარების აუცილებლობა, რაც მოწმდება ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი საბუთების		
პროგრამის აღწერა და მიზანი	მეშვეობით. მერის ბრძანებით შექმნილი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე დადგენილი წესის შესაბამისად		
	განისაზღვრება ბენეფიციარზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა. პროგრამით ისარგებლა 30 ბენეფიციარმა. საიდანაც 15 ქალი 15 კაცი.		
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაში ხელშეწყობა. პროგრამა გათვლილია დაახლოებით 20 ბენეფიციარზე.		

პროგრამის დასახელება	კოდი	უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 13		2,5
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურებაზე დახმარება გაიცემა ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის(საკრებულოს წევრის) შუამდგომლობის და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე. შენიშვნა: ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც გარდაცვლილის ოჯახის სრულწლოვანი წევრები არის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განხორციელდეს სარიტუალო მომსახურებაზე ფინანსური დახმარების გაცემა ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და საკრებულოს წევრის შუამდგომლობის საფუძველზე. 2022 წელს დახმარება გაიცა 9 უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურებაზე კაცი 3 ქალი 6.		
მოსალოდნელი შედეგი	უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება 10 გარდაცვლილზე.		



პროგრამის დასახელება	კოდი	ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 14		30
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე სოციალურად დაუცველ პირებს რომელთაც ყავს 0-დან 18 წლამდე ასაკის შვილი, სოციალურად დაუცველ მშობელს რომელიც მარტო ზრდის 0-დან 18 წლამდე ასაკის შვილს და სოციალურად დაუცველ მარტოხელა(მარტო მცხოვრები) მოხუცები, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 0-დან 65 000 -ს მუნიციპალიტეტის მიერ წლის განმავლობაში საშუალო მერქნის შესაძენად გაეწევა ერთჯერადი ფულადი დახმარება 150 ლარის ოდენობით; სადღესასწაულო და ღირშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით გათვალისწინებულია საკვები პროდუქტებისა და ტკბილეულის შეძენა, სოციალურად დაუცველი უმწეო ოჯახებისათვის; მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანისათვის და 100(ასი) და მეტი წლის ასაკის ხანდაზმულებისათვის. 2022 წელს დახმარება გაიცა 196 ბენეფიციარზე საიდანაც კაცი 88 ქალი 108.		
მოსალოდნელი შედეგი	მარტოხელა მშობელთა და მარტოხელა შეჭირვებულთა ოჯახების თანადგომა. . პროგრამა გათვლილია 240 ბენეფიციარზე.		

პროგრამის დასახელება	კოდი	შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 16		20
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0-დან 18 წლამდე შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციარები, რომლებიც საჭიროებენ სარეაბილიტაციო კურსის გავლას ურევში, მუნიციპალიტეტი დააფინანსებს ამ ბენეფიციარების სარეაბილიტაციო კურსს სრულად და ასევე მათი თანმხლები პირის ხარჯებს,დახმარების თანხა დღიური 50(ორმოცდაათი) ლარის ოდენობით ბენეფიციარზე და40(ორმოცი) ლარის ოდენობით თანმხლებ პირზე. თანხა ჩაირიცხება შესაბამისი დაწესებულების ანგარიშზე. 2022 წლის მაჩვენებლით პროგრამით ისარგებლა 20 ბენეფიციარმა. საიდანაც ბიჭი 14 გოგო 6.		
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე შშმ ბენეფიციარების მკურნალობის ჩატარება-დასვენებაში ხელშეწყობა. პროგრამა გათვლილია 20 ბენეფიციარზე		

პროგრამის დასახელება	კოდი	ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსაგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 17		55.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური		
	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბავშვები, ასევე ქ. ლანჩხუთში მიმდებ ოჯახში განთავსებული სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვები რომლებიც სარგებლობენ ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით, ბავშვების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის სერვისის ფარგლებში განხორციელდება სერვისის მომწოდებელ სპეციალისტთა ტრანსპორტირების ხარჯის თანადაფინანსება სერვისის ბავშვებისთვის ბუნებრივ გარემოში იქნება ეს სახლი, ბაღი თუ სკოლა, ხოლო სერვისის ცენტრში მიწოდების შემთხვევაში ბავშვებს დამატებით		



პროგრამის აღწერა და მიზანი	აუნაზღაურდება ტრანსპორტირების ხარჯი. პროექტის ფარგლებში (თითო ბავშვთან თვეში 8 ვიზიტი) განხორციელება. მგზავრობის საფასური შეადგენს 6 ლარს. ხოლო ბავშვთან რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით, ბავშვების განვითარების ხელშეწყობის მიზნით ვინაიდან ამ სერვისის მოწოდებული გურიის რეგიონში არ არის, მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს მომსახურების მოწოდებელ ორგანიზაციებში ქვეპროგრამით მოსარგებლე ბავშვებისა და მათი თანმხლები პირებისათვის სატრანსპორტო ხარჯის გამოყოფას. მკურნალობის კურსი ტარდება 12 თვის განმავლობაში თვეში 10 დღე. ორიენტაცია აღებულია ქუთაისის, ჩაქვის, ბათუმისა და დაბა ურეკის სარეაბილიტაციო ცენტრებზე, პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ბავშვისა და ერთი თანმხლები პირის ტრანსპორტირება მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციამდე და უკან (ქუთაისი, ბათუმი ერთი მიმართულებით 7 ლარი, ჩაქვი 6 ლარი, დაბა ურეკი 3 ლარი, შიდა გადაადგილებისთვის 2 ლარი სერვისის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიწოდების შემთხვევაში ანაზღაურება მოხდება შპს „ავტო-2018“ მიერ მოწოდებული ფასების მიხედვით) მიმდინარე წელს ზემოაღნიშნული ქვეპროგრამები გათვლილია 45 ბავშვზე. ზემოაღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს შშმ ბავშვების განვითარების ხელშეწყობას.“ 2022 წელს პროგრამით ისარგებლა 43 ბენეფიციარმა საიდანაც ბიჭი 31 გოგო 12.
მოსალოდნელი შედეგი	ზემოაღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს შშმ ბავშვების განვითარების ხელშეწყობას. პროგრამა გათვლილია 45 ბენეფიციარზე.

პროგრამის დასახელება	კოდი	გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 18		3
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე ბენეფიციარს გაეწევა ერთჯერადი ფულადი დახმარება მათი საჭიროებების გათვალისწინებით. გადაწყვეტილება ასეთ ოჯახებზე ფინანსური დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის შესახებ მიიღება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი კომისიის მიერ. თანხა გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თითოეულ ბენეფიციარზე დადგენილი საჭიროებებიდან გამომდინარე, ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით 1000 (ათასი) ლარამდე. 2022 წელს პროგრამით ისარგებლა 0 ბენეფიციარმა.		
მოსალოდნელი შედეგი	გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა პროგრამა გათვლილია 3 ბენეფიციარზე		

პროგრამის დასახელება	კოდი	სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დახმარების პროგრამა.	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 19		7
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სახელმწიფო ზრუნვის		
	პროგრამიდან გასული 18-დან 24 წლამდე ახალგაზრდების ფინანსური დახმარებას. საქართველოს ოკუპირებული		
	ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გურიის სამხარეო		



	ცენტრის ლანჩხუთის რაიონული განყოფილების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ახალგაზრდების
	საჭიროებების გათვალისწინებით, მოხდება ოჯახზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემა. გადაწყვეტილება ასეთ ოჯახებზე ფინანსური დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის შესახებ მიიღება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი კომისიის მიერ. თანხა გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე. 2022 წელს პროგრამით ისარგებლა 9 ბენეფიციარმა საიდან კაცი 7 ქალი 2.
მოსალოდნელი შედეგი	სახელმწიფო ზრუნვის პროგრამიდან გასული ახალგაზრდების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, მათი ოჯახების თანადგომა. პროგრამა გათვლილია 11 ბენეფიციარზე

პროგრამის დასახელება	კოდი	მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა.	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 20		3
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიზე რეგისტრირებულ მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება, ოჯახებს გაეწევა ერთჯერადი ფულადი დახმარება მათი საჭიროებების გათვალისწინებით. გადაწყვეტილება ასეთ ოჯახებზე ფინანსური დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის შესახებ მიიღება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი კომისიის მიერ. თანხა გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, 2022 წელს ბავშვების რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება არ განხორციელებულა		
მოსალოდნელი შედეგი	მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება და ოჯახების თანადგომა. პროგრამა გათვლილია 6 ბენეფიციარზე		

პროგრამის დასახელება	კოდი	0-დან 18 წლამდე დედამამით ობოლი ბავშვებს და შშმ ბავშვებს რომელიც არის ობოლი ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 21		2
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური		
